საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030191453427320

№ 01-133/ო **29 / მარტი / 2020 წ.**

სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს „მორიგე“ რეჟიმში მომუშავე დაწესებულებები (შემდგომში - დაწესებულებები) დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა, შესაბამისი პროტოკოლის მიხედვით, კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში უზრუნველყონ პაციენტთა სატელეფონო კონსულტაცია.

3. ამ ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით, დაწესებულებებმა სამუშაო პროცესში ადმინისტრაციული, სააღრიცხვო, ოპერაციული მხარდაჭერის და მათი კომპეტენციის ფარგლებში, სხვა შესაფერისი დავალებების შესასრულებლად ჩართონ სამედიცინო უნივერსიტეტების ბოლო ორი დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფის შემდეგ.

4. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ, ამ ბრძანებით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების (მათ შორის, ჩართული სტუდენტების) ანაზღაურება განხორციელდეს „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებებიდან.

5. ძალაგადაკარგულად გამოცხადდეს ,,სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 2 მარტის N01-71/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად